ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 300

"18" ოქტომბერი 2019 წ.

ქ. თბილისი

გარდაბანში, სოფელ ნორიოში მდებარე 6500 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №81.09.08.272) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 118[1] მუხლის მე-5 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის და მე-5 მუხლის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. თანხმობა მიეცეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „გარდაბანში, სოფელ ნორიოში მდებარე 6500 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №81.09.08.272) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 18 სექტემბრის №19.989.1279 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: გარდაბანში, სოფელ ნორიოში მდებარე 6500 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №81.09.08.272) გაცვლის ფორმით პრივატიზებაზე, ლიზა აბრამიშვილის (პ/ნ: 12001079803) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების: გარდაბანში, სოფელ ნორიოში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 10000 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №81.09.33.261) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე